დაიჯესტი

1 -7 მარტი 2021

TRC
ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
Terrorism Research Center

ამერიკის შეერთებული შტატები

აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ანტონი ბლინკენმა, ირანის მიერ მხარდაჭერილ ჰუსიტების დაჯგუფებას ჩრდილოეთ იემენში და საუდის არაბეთის საზღვარზე შეტევითი ქმედებების შეწყვეტისაკენ მოუწოდა. ვირტუალური დონორების კონფერენციაზე, მან 191 მილიონი დოლარის რაოდენობის ჰუმანიტარული დახმარების პირობა გაახმაურა. ის იემენის შიმშილისგან დასახსნელად 3.85 მილიარდი დოლარის შეგროვებას გეგმავს.

გამოძიების ფედერალური ბიუროს(FBI) დირექტორმა, ქრისტოფერ ვრეიმ, სენატის სამართლის კომიტეტის წინაშე განაცხადა, რომ 6 იანვრის კაპიტოლეუმის ალყა შიდა ტერორიზმის აქტია. ვრეის განცხადებით, თავდასხმის შიდა ტერორიზმად გამოცხადება დამნაშავეებს აყენებს დაეშისა და ძალადობრივი ექსტრემისტების გვერდით.

აშშ-მ სანქციები დაუწესა იემენის ჰუსიტი მეამბოხეების საჰაერო და საზღვაო ძალების მეთაურებს - მანსურ ალ-საადსა და ალი აჰსან ალ-ჰამზის. ვაშინგტონის მცდელობის ფონზე, შეაჩეროს დამანგრეველი ომი, ისინი დაადანაშაულა თავდასხმებში.

საფრანგეთი

ფრანგი ქალების ჯგუფი, რომლებიც დაეშს შეუერთდნენ და ამჟამად სირიაში იმყოფებიან აგრძელებს შიმშილობას, რადგან საფრანგეთის მთავრობა უარს ამბობს მათი და მათი შვილების რეპატრიაციაზე.

საფრანგეთის მთავრობამ აკრძალა ულტრამემარჯვენე ჯგუფი Generation Identity. საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრის, ჯერალდ დარმანინის განმარტებით, ჯგუფი წარმოადგენს ძალადობის, სიძულვილისა და დისკრიმინაციის წყაროს. საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ანგარიშში Generation Identity მოხსენიებულია არასანქცირებულ შეიარაღებულ დაჯგუფებად.

გერმანია

გერმანიაში დაეშის სავარაუდო წევრი გაასამართლეს, რომელიც მჟავითა და ცეცხლსასროლი იარაღით რამოდენიმეჯერ დაესხა თავს თურქულ ბიზნესებს და მეჩეთს ბავარიაში. ოპოზიციური პარტია, „ალტერნატივა გერმანიისათვის“, მეთვალყურეობის ქვეშ მოექცა. აღნიშნული ფაქტი პირველ პრეცენდენტს წარმოადგენს გერმანიის ისტორიაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ექსპერტების აზრით, ულტრამემარჯვენე პოლიტიკური პარტიის მეთვალყურეობის ქვეშ მოქცევა აუცილებელ ნაბიჯს წარმოადგენს ნეო-ნაცისტური და ულტრამემარჯვენე ჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლაში.

გერმანია შრი-ლანკას 1 მილიონი ევროთი დაეხმარება, რომელიც კუნძულზე ორგანიზებული დანაშაულებისა და ტერორიზმის წინაარმდეგ ბრძოლას მოხმარდება.

ნორვეგია

ქალი, რომელსაც ბრალად ტერორისტული ორგანიზაცია დაეშის წევრობა ედება თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს. იგი პაკისტანში დაიბადა, თუმცა ოსლოში გაიზარდა. ერთი წლის წინ ნორვეგიამ მოახდინა მისი რეპატრიაცია სიირიდან. პროკურორი ამტკიცებს, რომ ბრალდებული, რომელიც 2013-2019 წლებში სამ სხვადასხვა მებრძოლზე იყო დაქორწინებული სირიაში, ეხმარებოდა მათ დაეშისთვის ბრძოლაში. ბრალდებულმა განაცხადა, რომ მას უნდოდა სირიიდან წამოსვლა, თუმცა ქმარმა არ დართო ნება. მან განაცხადა, რომ სახლში იყო ჩაკეტილი და გარეთ გასვლის უფლებას არ აძლევდნენ.

გამოცემა France 24-ის განცხადებით, ნორვეგიაში მიმდინარე სასამართლო პროცესის დროს, ტერორისტული ორგანიზაცია, დაეშის, წევრობაში ბრალდებულმა ქალმა ისაუბრა ტერორისტული ორგანიზაციის წევრის ცხოვრების წესსა და მის ცხოვრებაზე დაეშის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, სირიაში.

შვედეთი

ქალაქ ვეტლანდაში სულ მცირე რვა ადამიანი დაშავდა სავარაუდო ტერორისტული თავდასხმის შედეგად. პოლიციამ დააპატიმრა 20 წელს გადაცილებული მამაკაცი, თუმცა მოტივი ჯერჯერობით დადგენილი არ არის.

ერაყი

პოლიციის განცხადებით სულ მცირე ორი ადამიანი შეეწირა ერაყის აღმოსავლეთ პროვინციაში დაეშის თავდასხმას. ერთ-ერთ სოფელზე შეიარაღებული თავდასხმისას ტერორისტული ჯგუფის წევრებმა ასევე გაიტაცეს ერთი ადამიანი და ცეცხლი წაუკიდეს მანქანებს.

კრიმინალურმა სასამართლომ დაეშის წევრს 15 წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. უსაფრთხოების ძალებმა ტერორისტი ბაღდადში, საკუთარ სახლში დააკავეს. მის ტელეფონში აღმოჩენილია საუბრები ტერორისტ ლიდერებთან, მისი ფოტოები დაეშის სამხედრო უნიფორმით სხვა დაეშის ტერორისტებთან ერთად.

ნინევიაში დაეშის დარჩენილი წევრების გასანეიტრალებლად შეიარაღებული ძალების მონაწილეობით დიდი სამხედრო ოპერაცია დაიწყო. ეს ოპერაცია წელს ყველაზე დიდი მასშტაბისაა.

ერაყის პარლამენტმა დაეშის მიერ იეზიდებისა და სხვა ჯგუფების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები გენოციდად გამოაცხადა.

ბასრას ოპერაციების მეთაურმა ოთხშაბათს ოპერაციის “Al Waad Al Sadek (გულწრფელი დაპირება)” ახალი ეტაპი დაიწყო სამხრეთ ერაყში. მან განაცხადა, რომ ამ ოპერაციის მიზანია ძებნილი ადამიანების დაჭერა, რომლებიც კონფლიქტებში არიან ჩართულები და ასევე „შურისძიება” ტერორისტულ აქტებს შეწირული ადამიანებისთვის.

ერაყის პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი, რომელიც სთავაზობს რეპარაციებს დაეშის მსხვერპლებს. ერაყის პრეზიდენტის, ბარჰამ სალიჰის განცხადებით, გადარჩენილი იეზიდი ქალების კანონი არის იმ ქალების გამარჯვება, ვინც გამოსცადა დაეშის გენოციდის სისასტიკე.

ერაყის უსაფრთხოებისა და სამხედრო ძალებმა დაიწყეს ოპერაცია დიალას პროვინციის ქალაქ ბაქუბაში, ალ კაიდასა და დაეშის ტერორისტების გასანეიტრალებლად.

დაეშის 60-ზე მეტი წევრი დაიჭირეს ერაყის სხვადასხვა პროვინციაში განხორციელებული ოპერაციების შედეგად.

ერაყის ცნობილ სამხრეთის ციხეში ტერორიზმის ბრალდებით ნასამართლევი სამი ადამიანი ჩამოახრჩვეს.

ნიგერია

კადუნის შტატში რამდენიმე სოფელზე ტერორისტულ თავდასხმებს ჯამში 7 ადამიანი ემსხვერპლა, ხოლო ერთი კი მძიმედ დაიჭრა.

26 თებერვალს ნიგერიის ერთ-ერთი პატარა ქალაქის სკოლიდან 11დან 17 წლამდე ასაკის 317 მოსწავლე ერთბაშად გაიტაცეს. ეს ქვეყნის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური გატაცებაა. როგორც სახელმწიფო მოხელეებმა განაცხადეს ზამფარას შტატის ხელისუფლება კონტაქტშია გამტაცებლებთან და მუშაობენ მათ დაბრუნებაზე. ნიგერიაში დეკემბრის შემდეგ 600 მოსწავლე გაიტაცეს სკოლებიდან. მოსახლეობის ნაწილი ამბობს, რომ ამ შემაშფოთებელ სტატისტიკასთან დაკავშირებით ხელისუფლება საკმარისს არ აკეთებს.

3 მარტს, ოთხშაბათს, ნიგერიის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ რეგიონში, ქალაქ დიკვაზე, განხორციელებულ შეიარაღებულ თავდასხმას 6 მოქალაქის სიცოცხლე ემსხვერპლა. ნიგერიის სამხედრო პრესცენტრის განცხადებით, აღნიშნულ თავდასხმაზე პასუხისმგებელი ტერორისტული ორგანიზაცია ბოკო-ჰარამია.

ზამფარას პროვინციის გუბერნატორის განცხადებით, გატაცებული 317 მოსწავლიდან 279 იქნა გათავისუფლებული.

ბორნოს პროვინციის ქალაქ დიკვადან ბოკო ჰარამმა ნიგერიის ჯარები განდევნა. შეიარაღებული პირები ტყვიამფრქვევებითა და სატვირთო მანქანებით მოვიდნენ და აიღეს სამხედრო ბანაკი. შეიარაღებული პირები ასევე თავს დაესხნენ გაეროს ბაზას, კონტროლი მოიპოვეს ჰუმანიტარულ ცენტრზე და გამოკეტეს 25 თანამშრომელი.

ნიგერიის სამხედრო ძალებმა წარმატებით დაიბრუნეს ქალაქი დიკვა ბოკო ჰარამისა და ISWAP-ის (ისლამური სახელმწიფო დასავლეთ აფრიკის პროვინციაში) ტერორისტებისგან.

სამხედროებმა მოიპოვეს კონტროლი გაეროს ბაზაზე, სადაც 25 თანამშრომელი ბუნკერში იმყოფებოდა. წყაროს განცხადებით ყველა თანამშრომელი უსაფრთხო ადგილასაა გადაყვანილი. ISWAP-მა გაიტაცა ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის რამდენიმე ქალი თანამშრომელი, როდესაც ქალაქს ტოვებდნენ.

ქალაქ მაიდუგურში ბოკო ჰარამის ამბოხებულების მიერ ნასროლ ჭურვებს შეეწირა 10 ადამიანის სიცოცხლე, 47 კი დაშავდა.

ბოკო ჰარამმა 2020 წლის 24 დეკემბერს გატაცებული პასტორ ბოლოს იუკურა გაათავისუფლა.

სომალი

მოგადიშოუში ალ-კაიდასთან დაკავშირებულმა ჯგუფმა, ალ-შაბააბმა ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს ორი აგენტი მოკლა.

ავღანეთი

ავღანეთის სამხედრო ძალების ოპერაციის ფარგლებში მოკლულია 30 ტერორისტი, მათ შორის 16 ალ კაიდას და რამდენიმე თალიბანის წევრი, ხოლო 6 მძიმედ დაიჭრა.

დაეშმა აიღო პასუხისმგებლობა თავდასხმაზე, რომელსაც შეეწირა 3 ჟურნალისტი ქალი, ხოლო მეოთხე მძიმედ დაშავდა. მათი ასაკი 18-20 წლამდე იყო. ისინი სახლში ბრუნდებოდნენ აღმოსავლეთ ავღანეთის ერთ-ერთი სატელევიზიო სტუდიიდან.

ავღანეთის უსაფრთხოების ძალებმა ყკანდაჰარის პროვინციაში თალიბანის 20 ტერორისტი გაანეიტრალეს. შედეგად ასევე განადგურდა დიდი რაოდენობით იარაღი და ამუნიცია.

თურქეთი

თურქეთის უსაფრთხოების ძალებმა სირიის საზღვრის მახლობლად ჯამში 9 ადამიანი და მათ შორის ქურთისტანის მუშათა პარტიის 5 წევრი დააკავა როდესაც ისინი ქვეყანაში არალეგალურად შემოსვლას ცდილობდნენ.

თურქეთის პოლიცია 27 თებერვალს დაკავებული დაეშის წევრის მიერ მისივე გატაცებული 7 წლის გოგონას იდენტიფიცირებას ელოდება. აქტიურად მიმდინარეობს გოგონას ოჯახის ძებნა, რომელიც, სავარაუდოდ ერაყიდან არის.

უსაფრთხოების ძალებმა ოთხშაბათს დაეშთან კავშირის გამო სტამბოლში 10 უცხოელი დააკავა. ანტი-ტერორისტულმა პოლიციამ 12 უბანში თანადროული ოპერაცია ჩაატარა იმ პირების დასაკავებლად, რომლებიც ერაყსა და სირიაში აქტიურები იყვნენ კონფლიქტის ზონებში.

თურქეთის პრეზიდენტმა, რეჯეფ თაიფ ერდოღანმა, საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონს მოუწოდა მათი ქვეყნების საერთო თანამშრომლობისკენ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითებში.

სინგაპური

სინგაპურის პარლამენტის სხდომაზე შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ განაცხადა, რომ ტერორიზმის საფრთხესთან ბრძოლის მნიშვნელოვანი ნაწილია დაკავებულების რეაბილიტაცია და მათი საზოგადოებაში რეინტეგრაცია.

ირანი

თეირანი შეშფოთებულია მთიან ყარაბაღში ტერორისტული ჯგუფების ყოფნით. ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ორშაბათს განაცხადა, რომ ეს საკითხი ირანისთვის სერიოზულად შემაშფოთებელია.

საბერძნეთი

ორშაბათს საბერძნეთის მთავრობამ განაცხადა, რომ უარს ამბობს დაპატიმრებული ტერორისტისთვის ციხის ტრანსფერზე უფლების გაცემაზე, რომელიც უკვე 7 კვირაა შიმშილობს და უკვე საჯარო პროტესტებსაც იწვევს.

ავსტრალია

ავსტრალიელი ქალი, რომელიც ერთი წლის წინ დააკავეს დაეშთან კავშირის გამო, გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს. მის ტელეფონში აღმოჩენილი იყო დაახლოებით 1000 ფოტოსურათი, რომლებშიც ნათლად ჩანდა დაეშის პროპაგანდა, მოკლული ადამიანები და თავის მოკვეთის სცენები.

ბრიტანული ნეო-ნაცისტული ჯგუფი *Sonnenkrieg Division* გახდება პირველი მემარჯვენე ტერორისტული ორგანიზაცია, რომელსაც ავსტრალია ტერორისტული ორგანიზაციების სიაში შეიყვანს.

ახალი ზელანდია

ქრაისთჩერჩში 2 წლის მომხდარ ტერორისტული თავდასხმასთან დაკავშირებულიმუქარის შემცველი ონლაინ-განცხადებების გავრცელებისათვის, ადგილობრივმასაპატრულო პოლიციამ წმინდა ალბანსსა და ლინვუდში ორი პიროვნება დააკავა. დაკავებული პირებიდან ერთ-ერთი უკვე გათავისუფლებულია, ხოლო მეორის სასამართლო პროცესი 5 მარტს გაიმართება.

მიანმარი

თვითაღიარებულმა კომიტეტმა მიანმარის სამხედრო ხელისუფლება ტერორისტულ ორგანიზაციად გამოაცხადა. მშვიდობიანი პროტესტის დარბევა და ფიზიკური დაპირისპირება სამოქალაქო პირებთან, მათ შორის სტუდენტებთან კომიტეტმა "შეუიარაღებელ მოქალაქეებზე ომის გამოცხადებად" შერაცხა. მათ სამხედროებს უწოდეს "არალეგიტიმური პუჩისტები" და გაიხსენეს როგორ გადაატრიალეს არჩეული მთავრობა და გაიტაცეს სახელმწიფო ფაქტობრივი ლიდერი აუნ სან სუ ჩი და ქვეყნის პრეზიდენტი ვინ მინი. ეს კომიტეტი არის მიანმარის მთავრობის წევრებისგან შემდგარი ჯგუფი, რომელსაც სამხედროებმა გადატრიალება მოუწყვეს პირველ თებერვალს. ისინი თავს ქვეყნის ლეგიტიმურ ხელისუფლებად მიიჩნევენ. ანტი-გადატრიალების პროტესტები მიანმარში მთელი თებერვლის განმავლობაში გრძელდებოდა, სადაც სულ მცირე 18 ადამიანი დაიღუპა

და 30 დაშავდა მხოლოდ გასულ კვირა დღეს სამხედროებსა და პროტესტანტებს შორის შეტაკებებისას.

იემენი

იემენში ირანის მიერ მხარდაჭერილმა ჰუსიტმა მეამბოხეებმა გაავრცელეს საუდის არაბეთის ქალაქისკენ მიმართული ბალისტიკური რაკეტების კადრები და გააფრთხილეს საუდის არაბეთი იემენის ჩრდილოეთ და დასავლეთ ფრონტებზე ესკალაციის შესახებ. მათი განცხადებით, ისინი დაარტყამენ საუდის არაბეთის ქალაქ არამკოს იმ შემთხვევაში, თუ საუდის არაბეთის მხრიდან ადგილი ექნება აგრესიას გარკვეულ ტერიტორიაზე.

სირია

რუსეთის თავდაცვის მინისტრის განცხადებით, იდლიბში, ჰამაში, ლათაკიასა და ალეპოში, ბოლო 24 საათის განმავლობაში, ჯაბჰათ ალ-ნუსრას ტერორისტებმა 29 თავდასხმა განახორციელეს.

სირიისა და რუსეთის საკოორდინაციო კომისიებმა განაცხადეს, რომ სირიაში, ალ-რუკბანის ბანაკში გაუარესებულ მდგომარეობას აშშ იყენებს, რათა ჩამოართვას ბანაკს გაეროს ჰუმანიტარული დახმარება და გადასცეს ტერორისტებს.

იანვრის დასაწყისის შემდეგ, სულ მცირე 31 მკვლელობა დაფიქსირდა დაეშის წევრების ნათესავებით დასახლებულ ალ-ჰოლის ბანაკში.

სომალი

ალ-შაბააბის 9 ტერორისტი დაიღუპა აფრიკის კავშირის სამშვიდობო მისიის ფარგლებში ეთიოპიის მიერ მხარდაჭერილ არმიაზე თავდასხმისას.

აალაქ ჯილიბში ალ-შაბააბმა ამერიკისა და სომალის სადაზვერვო სააგენტოების ჯაშუშობის ბრალდებით 5 სამოქალაქო პირი სიკვდილით დასაჯა. ასევე აიძულა ქალაქის ასობით მაცხოვრებელი, რომ ამ პროცესისთვის ეყურებინათ.

კონგო

სავარაუდოდ მოკავშირე დემოკრატიული ძალების მებრძოლებმა მოკლეს სულ მცირე 10 ადამიანი ორი ღამის თავდასხმისას ბოიოსა და კაინამას სოფლებში.

კონგოს ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონში, ქალაქ ბენიში, განხორციელებულ თავდასხმას 8 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. 3 მარტს, ხუთშაბათს, შეიარაღებულ პირთა ჯგუფი თავს დაესხა სავაჭრო ბაზარს. ადგილობრივებისა და უფლებადამცველთა ჯგუფები მომხდარში პასუხისმგებლობას უგანდის ისლამისტურ დაჯგუფება, „უგანდის დემოკრატიულ ძალებს“, აკისრებენ.

საუდის არაბეთი

კოალიციამ საუდის არაბეთის ხელმძღვანელობით განაცხადა, რომ ჩამოაგდო იემენის ჰუსიტი ამბოხებულების მიერ გაშვებული დრონი, რომელიც მიმართული იყო სამხრეთით მდებარე საუდის არაბეთის ობიექტების წინააღმდეგ. საგულისხმოა, რომ იემენში შეიარაღებული კონფლიქტი სამთავრობო ძალებსა და ჰუსიტ მეამბოხეებს შორის 2014 წლიდან მიმდინარეობს. კოალიცია საუდის არაბეთის ხელმძღვანელობით კი 2015 წლიდან აწარმოებს საჰაერო კამპანიას ჰუსიტი აჯანყებულების წინააღმდეგ.

პალესტინა

პალესტინის პრემიერ მინისტრმა, მოჰამად შთაიემ, მოუწოდა აშშ-ს პრეზიდენტს, რომ ამოიღოს ტერორისტული ორგანიზაციების სიიდან პალესტინის განმათავისუფლებელი ორგანიზაცია და ცნოს ეს უკანასკნელი “პარტნიორ ორგანიზაციად მშვიდობისთვის.”

ინდოეთი

მანიპურის ციხიდან გაქცეული ტერორისტი, ტოქჩომ ნანდო, რომელიც სასჯელს 2003 წელს ყოფილი სახელმწიფო მინისტრის 8 წლის გოგონას მკვლელობისთვის იხდიდა, ერთიანმა ეროვნულმა გამათავისუფლებელმა ფრონტმა, მანიპურის პროვინციის ამბოხებულთა ჯგუფმა მოკლა.

ეროვნული გამოძიების სააგენტომ ჯამუ და ქაშმირიდან ოთხი ადამიანი დააკავა ნარკო-ტერორიზმის ბრალდებით და ამოიღო მილიონი რუპიის ღირებულების ჰეროინი და სხვა ნარკოტიკული საშუალებები.

ისრაელი

ისრაელის გარემოს დაცვის მინისტრმა, გილა გამლიელმა, ირანი ეკოლოგიურ ტერორიზმში დაადანაშაულა.

მაროკო

მაროკოს კონტრ-ტერორისტული სააგენტოს ხელმძღვანელის განცხადებით, საჰელის რეგიონში არსებული ექსტრემისტული ჯგუფები, რომლებიც თავიანთ მიმდევრებს ონლაინ წრთვნიან და არეკრუტებენ, მაროკოსთვის უდიდეს საფრთხეს წარმოადგენენ. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში აქ მხოლოდ ერთხელ მოხდა მასშტაბური ტერორისტული თავდასხმა, ადგილმდებარეობა მაროკოს საჰელის ჯგუფებისთვის სამიზნე ობიექტად აქცევს.